ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2282521

ნომერი: AR1352038

თარიღი : 05.11.2015

გაცემის თარიღი : 09.11.2015

გაცნობის თარიღი : 15.11.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 80 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ სულხანიშვილი პ/ნ 01009018463
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. VI კვ. კორ. 2 ბ. 37

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

კორექტირება

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებული შენობის ფასადზე არსებულ აივანზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ი. ჭავჭავაძის გამზირი #80, მოქ. მალხაზ საბაძის და დევანოზ ინასარიძის კუთვნილი ფართის ფასადზე არსებულ აივანზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების შესახებ 2014 წლის 18 სექტემბერს გაცემულ №1498789 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესალებლობას წარმოდგენილი ფოტომონტაჟის საფუძველზე.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური".

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის მოქ. მალხაზ საბაძის (ფართი სადარბაზო 1, სართული 8, ბინა N14) და დევანოზ ინასარიძის (ფართი სადარბაზო 1, სართული 7, ბინა N13) საკუთრებაში არსებული ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882014329546 25/06/2014 წ. საკადასტრო კოდი N 01.14.10.001.065, ასევე წარმოდგენილი ფოტომონტაჟი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ი. ჭავჭავაძის გამზირი #80, მოქ. მალხაზ საბაძის და დევანოზ ინასარიძის კუთვნილი ფართის ფასადზე არსებულ აივანზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების შესახებ 2014 წლის 18 სექტემბერს გაცემულ №1498789 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესალებლობას წარმოდგენილი ფოტომონტაჟის საფუძველზე.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.